სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 93

დამატების № 17

კვირა, 21 სექტემბერი 1914 წ.

მოჯალაბე

ისტორიული მოთხრობა.

(იხ. სურათებიანი დამატება № 16.)

X

როცა ოდიშში ასეთი ამბები ხდებოდა, იმერეთში რუსი სრული მასპინძელი იყო: ქ. ქუთაისში იჯდა ორი გუბერნატორი: ერთი, ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი — თავადი გაგარინი და მეორე, ქ. ქუთაისის სამხედრო და ქუთაისის გუბერნიის სამოქალაქო გუბერნატორი—კოლიუბიაკინი. იმ დროს, როცა ოდიშის დედოფალს შემწეობა უნდა ეთხოვა რუსის ჯარისთვის, გაგარინი სოხუმისკენ მოგზაურობდა და იმ ხანებში უნდა დაბრუნებულიყო ქუთაისს ზუგდიდით; მაშინ ქუთაისში იმყოფებოდა კოლიუბიაკინი, რომელსაც არ ჰქონდა უფლება ქ. ქუთაისის გარეშე სამხედრო განკარგულება მოეხდინა. ეს კარგად იცოდა დედოფალმაც, მაგრამ ხომ არ შეეძლო ეცადა გაგარინისთვის, როცა მისი მდგომარეობა წუთის დაყოვნებასაც ვერ ითმენდა! მას უსათუოდ ახლო გზა უნდა აერჩია და ასეც მოიქცა.

ღამის 12 საათზე, როცა კოლიუბიაკინი მეგობრებთან ქალალდის თამაშით თავს იქცევდა, ზარის წკარუნმა მყუდროება დაურღვია მას. ცოტა კიდევ და გენერლის წინაშე გაჩერდა, სწრაფი მგზავრობით, ფერდაკარგული და გულისძგერა ავარდნილი, ოფლში გაჟღენთილი თავადი—ნიკო მიქაძე, დედოფლის წერილით... კოლიუბიაკინმა რომ წერილი წაიკითხა, ელდა ეცა.—„მიშველეთ,—სწერდა დედოფალი,—მეამბოხეებმა ტყვედ ჩამიგდეს ხელში, გზა შეკრული მაქვს, გასვლა არ შემიძლიან; წუთითაც რომ დაიგვიანოთ, ისიც უბედურობა იქნება ჩემთვისო“—აღელვებულმა კოლიუბიაკინმა წერილი მაგიდაზე დააგდო და ჩაფიქრდა... შემდეგ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა წინ და უკან ჩქარის ნაბიჯით და მიუბრუნდა იმ პატარა წრეს, რომელთანაც თავს იქცევდა: —„მირჩიეთ: წავიდე, თუ არაო!“

წრე შესდგებოდა სამი პირისგან, რომელთაგან ორი რუსის მოხელე იყო და მესამე კი იყო სრულიად კერძო პირი, ქართველი ვაჭარი—აკოფაშვილი, რომელსაც აღებული ჰქონდა სამხედრო ბარგის ადგილიდან-ადგილზე გადაზიდ-გადმოზიდვა. აკოფაშვილი ძალიან დაახლოვებული იყო კოლიუბიაკინთან, რადგანაც ის დამტვრეული რუსულით, მაგრამ მოსწრებული სიტყვით ალხენდა მას, რის გამო, თავისუფალ დროს ყოველთვის გვერდით ჰყავდა გენერალს ეს ჭკვიანი—ოხუნჯი ქართველი.

— ნუ წახვალ, გენერალო,—ცქვიტად უპასუხა აკოფაშვილმა კოლიუბიაკინს,—დედოფალი ეშმაკი ქალია, ისეთს ხათაბალაში გაგხვევს, რომ გული გეტკინოს.

— გაჩუმდი, შენ არაფერი არ იცი!—ღიმილით უბრძანა გენერალმა აკოფაშვილს.

— თუ არ მცემ, კიდევ მოგახსენებ, უფრო კარგს იზამ, თუ ამ საქმეს გაგარინს დაუთმობდე!

— გცემ, უსათუოდ გცემ, თუ არ გაჩუმებულხარ! მეზობელს რომ სახლი ეწვოდეს, მეზობელი არ უნდა მიეშველოს? სიამოვნებით უნდა შესცქეროდეს მის თვალის წინ ავარდნილ ალს?!

— კიდევ რაღაცას ვიტყოდი, მაგრამ ცემისა მეშინიან—ოხუნჯობით წაიბუტბუტა აკოფაშვილმა.

— ჰო, რას იტყოდი!

— სახლი იწვის და მერე ვინ წაუკიდა ცეცხლი? დედოფალმა რომ ცეცხლი გააჩინოს, იმიტომ რუსის ჯარმა საწყალი ხალხი უნდა ქლიტოს?!

— გეყოფა.—მოკლედ უბრძანა გენერალმა და გასცა ბრძანება, რომ დაუყოვნებლად გამოეწვიათ ჯარი.

XI

მთელი ღამით უძილო დედოფალი დილა-ადრიან წამოდგა, მარტოდ-მარტო გავიდა სასახლის უკანა აივანზე, რომელიც გადაჰყურებდა მდინარე ტეხურს, საიდანაც, როგორც ხელის გულზე, მოსჩანდა ქუთაისის გზა, დასჯდა და, მოსვენება წართმეული, მიეცა საკუთარს ოცნებას. მწარე ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ მას: წარსული, აწმყო და მომავალი ფერად-ფერადად შეღებილი, მოქნილი ღვედივით მჭიდროდ შემოკვროდა მის გულს და რამდენად გახურებული გული გაგანიერებას აპირობდა, იმდენად ეს თვალით უხილავი ღვედები მწარედ უჭერდნენ, თითქმის სისხლამდის დადიოდნენ და კუმშავდნენ ტანჯვა ნაგემებ გულს, რაც სევდის ქარებს ახვევდა, ათრობდა და გონს ართმევდა ნებიერ დედოფალს. ახლა

პორუჩ. ანტონ კონსტანტინეს ძე ფარესიშვილი (დაჭრილია)



კაპიტანი ა. კ. ჭიჭინაძე (მოკლულია).

შტაბ-როტმისტრი მ. კ. კვინიხიძე



პორუჩიკი ა. რ. მიქელაძე (დაჭრილია. საავადმყოფოში წევს).

მისი თვალთა წინაშე იდგა აჩრდილი წარსული დიდებისა, რომელსაც, ცელით ხელში, მიახლოებოდა მრისხანე აწყმო, რომ გიეკრა ფეხებში მახვილი და დედამიწასთან გაესწორებინა ზაფთიმოსილი ბრწყინვალება. აწმყოს უკან გადაწვლილიყო ბელის შემზარავი მომავალი, ვითა ხრიოკი და ტყიანებლო უდანო... ამ საშმ სიზმრის წინაშე ერთოდა დედოფალი, როცა ქუთაისის ჯაზზე გაშორნდა უზარმაზარი სვეტი მტვერისა, რაც ცხადად მოწმობდა რუსის ჯარის მოახლოვებას.

მზე კარგა მაღალზე ასულიყო და დედოფალთან მისვლას ჯერ კიდევ ვერავინ ბედავდა. მას წინდაწინვე ნაბძანები ჰქონდა სახლთუხუცესისთვის, რომ არავის მიიღებდა და ერთგული მოხელეც. ის იყო, შორი-ახლოდან დარაჯობდა თავის სათაყვანო კერპს. ის იჯდა ცოტად მოღებულ კართან, საიდანაც დედოფლისგან შეურნშნავი, თითონ ნათლად ჰხედავდა დედოფალს; ხედავდა, როგორ იტანჯებოდა ის, როგორ ჰკარგავდა სასოებას, როგორ ეფიებოდა შავი ღრუბელი მის ბრწყინვალე სახეს და იმის ტანჯვით იტანჯებოდა თითონაც, მაგრამ რა ექნა? გზა ხსნისა ყოველგან შეკრული იყო... სახლთუხუცესმა მხოლოდ მაშინ გაბედა გამოცხადებოდა დედოფალს, როცა რუსის ჯარის მოახლოების ნიშანი თვალწინ დაეხატა.

გენერალი გენერალი ფუნ სანდერსი, ოსმალეთის საომარ სამზადისის ხელმძღვანელი.

ოსმალეთის სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა ომში ჩარევის მომხრეთა პარტიის მეთაური.

ოსმალეთის მოლვაწე ტალაათ-ბეი, შინაგან საქმეთა მინისტრი.

— ეს ნიშანი ჯარის მოახლოვებას უნდა ნიშნავდეს, მზეზე უბრწყინვალესო დედოფალო,—მოახსენა მდაბლად ცალმუხლზე დაჩოქილმა სახლთუხუცესმა და მიუთითა მტვერის სვეტზე, რომელიც ღრუბელივით ადიოდა ცაზე.

— სწორედ-სწორედ, ჩემო დავით!.. ეგ რუსის ჯარია, რომელზედაცაა ჩვენი ხსნა და ჩვენი დაღუბვაც... დღეს მალამოა ეს ჯარი ჩვენთვის, მაგრამ ხვალ სამსალად გადაიქცევა... და ვაიც მაშინ!.. ძლივს წარმოსთქვა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, დედოფალმა და ცრემლით მოიქარგა მისი მშვენიერი თვალები.

— ეგ ვინ იცის, მზეო ქვეყნისაო, ხვალინდელი დღე ვის რას უმზადებს!.. საშმი სიზმარი ხშირად სიკეთეზე ამხდარა...

— ჰმ, თითქო არ იცის, რომ რუსი სადაც სისხლს დაავლებს, სასახლესაც იქ ააგებს!.. ეგ სიზმარი არ არის, ჩემო დავით! ეს ცხადია-ცხადი და ვაი, რომ ცხადია! მაგრამ რაღა დროს!.. შეგეცდი, რომ ჯარი დავიბარე. ადრეეე უნდა მეკოდნოდა: ეცქმლს, ეცქმლით არ უნდოდა დაქრობა; სისხლი სისხლით არ მოიბანებოდა!

— ეს ხომ სავსებით გრიგოლის...

— ჰმ! გრიგოლმა ვერ შეეშალა ჩემი ხორცი!—ისევ გააწყვეტინა დედოფალმა სიტყვა სახლთუხუცესს,—გრიგოლმა დაამბო ჩემი ტახტი!.. გრიგოლმა, ის გრიგოლმა!..

მოგუბებულმა ცრემლებმა ბორკილი დაადვეს დედოფლის სიტყვას.

— დამშვიდდით, მზეო ქვეყნისაო! ალელვება გაგნებთ!

— კიდევ აქ მამლავს! კიდევ გვერდით მიზნის იუდა გამცემელი!.. ისკარიოტელ იუდამ ერთხელ გაყიდა ქრისტე და ამ იუდამ ვერ გაათავა ჩემი გაყიდვა! ვერ გაძლა ჩემი შვილების სისხლითი!.. მაგრამ დღეს, დღეს, უნდა გათავდეს ჩემი და მისი საქმე; საბოლოოდ უნდა გადასწყდეს!..

— მნათობო ქვეყნისაო! გრიგოლი არ ღირს იმად, რომ მაზე გული იხეთქოთ! ისეცაც დასჯის დედოფალი მოღალატეს; ისედაც არ აპატიებენ დედოფალი გრიგოლს იუდობას!..

— დღეს-დღეს!.. დღეს მოუღებ ბოლოს სასახლის მოღალატეს!..

— ნება მიბოძეთ, ქვეყნის დიდებაო, ჯარი მივიღოთ.

— წადი. — მოკლედ უბრძანა ბრაზმორეულმა დედოფალმა და თითონაც შეეიდა ძვირფასად მოფარდაგებულ ოთახში, სადაც უნდა მიეღო გენერალი.

კიდევ ცოტა დრო და კოლიუბიაკინი გაფაციცებით ისმენდა დედოფლის სარჩევრს... გარეგნულად ეტყობოდა, რომ გენერალი თითქო სმენად იყო გადაქცეული, თითქო ისიც იტანჯებოდა დედოფლის ცოდვით, ინაწყლებდა იმის მწუხარებას და ღელვდებოდა იმის მოთხრობით, მაგრამ ნამდვილად კი ეს ასე არ იყო. ის, როგორც ერთი თაყვანისმცემელთაგანი დედოფლისა, უფრო განცვიფრებაში მოდიოდა დედოფლის უენაურად გამოცვლით, ვიდრე იმის მოთხრობით! ეს სათაყვანო კერპი, ეს ზღაპრული ღმერთი სიღამაზისა, რომელიც ღვთის თითებს თითქო საგანგებოთ ჩამოუქნია მამათა სქესის ტანჯვის საგნადო, ეს სხივიანი მნათობი, რომლის ერთი შერხევით გიქდებოდა რუსეთის და უცხოეთისაც მაღალი წოდება, აღარ იყო ის, რაც იყო რამდენიმე თვის წინდე; იმისგან დარჩენილიყო მხოლოდ მკრთალი ჩრდილი წარსული დიდებისა!.. აღარ იყო არც ის გმირი, რომელიც, ერთი წლის წინდე არ უშინდებოდა ომერ-ფაშას მრისხანე ძალას, სარდლობდა თავის საკუთარ მილიციას და ავიწროებდა თათრის ჯარს... რაც ხელის-ხელ საგოგმანებელი მოთხრობად გამხდარიყო რუსეთის სამხედრო წრეებში... ახლა ამ გმირს აშინებდა ჩიტის გაფრთხიალებაც.

— ეს მეექვსე თვეა, რაც ალანეებული ხალხი მშიერი მგელივით დაძარწოს მთელს ოდიშში და ჯერ კიდევ გაუგონარ ამბებს ახდენს. მისგან ხსნა და საშველი არავის აქვს... ხალხი გამოროტებულია, ცხოვრება შეუძლებელია და ყველა ამის მიზეზი არის ჩემი მაზლი—გრიგოლი: მან ამიოჯანსა ხალხი, მან შეიარაღა ხალხი ჩემს წი-

დარდანელის სრუტე სიმაგრეებით.

ნაალმდეგ; თავის გამცემლური რჩევით აქედ მე მიშლის ამბოხების ჩაქრობას და იქით ხალხს აძლიერებს, აფხიზლებს და ზურგს უმაგრებს... არ შეიძლება, გარწმუნებ, არ შეიძლება ხალხის დამშვიდება, სანამ გრიგოლი მას გვერდით უდგას, სანამ ეს ძმის მოღალატე, ეს გამცემელი ხალხს ბელადობს.—დააბოლოვა დედოფალმა თავის მოთხრობა.

კოლიუბიაკინმა დედოფლის საჩივარი სრულ სიმართლედ მიიღო და სანამ სხვა რამე განკარგულებას მოახდენდა, წინადადება მისცა გრიგოლს და იმის ძმას—კონსტანტინეს, რომ დაუყოვნებლად გამგზავრებულიყვნენ ტფილისში. გრიგოლმა დაიწყო საქმის ვითარების ახსნა, მაგრამ ეს კოლიუბიაკინმა არ დააცალა, არ დაერიდა იმასაც, რომ გრიგოლი, როგორც ძე მთავრისა, იმავე დროს, გენერალ-ლეიტენანტიც იყო და მაშასადამე ჩინითაც მაღლა იდგა მაზე—და განმეორებით მისცა წინადადება, რომ ყოველი წამის დაყოვნება საფრთხეს უმზადებდა მათ... გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე საათი და გრიგოლი, თავის ძმით—კონსტანტინეთურთ, ტფილისის გზას ადგა.

უტუმ ადრე გაიგო რუსის ჯარის მოსვლა, გაიგო იმის მოსვლის მიზეზიც და, ცოტა არ იყოს, შეშფოთდა კიდეც უეცრად მომხდარი გარემოებით, მაგრამ წუთიერი იყო ეს აშფოთება! მზგავსი იმ შიშისა, რომელსაც იწვევს სიზმარი, მაგრამ ქრება სიზმართან ერთად.

— ცუდი აზრი მოსვლია დედოფალს,—უთხრა უტუს მისმა დიდვეზირმა, დავითმა, როცა მან საოცარი შორსმჭვრეტელობით მოაზრებული რჩევა მისცა სარდალს; თუ როგორ უნდა დახვედროდა რუსის ჯარს, ან რა უნდა ეთქვა,—ჩვენ არ ვიყავით იმისთვის ისე საშიში, როგორც რუსია. ეს უნდა სცოდნოდა მას... მაგრამ... მაგრამ ალბათ ის ნებავს ღმერთს, რომ მან რუსს დაულოცოს ტახტი,—ნაღვლიანად დაუმატა დავითმა და მწარედ ამოისვნეშა, რამაც, ცოტა არ იყოს, გააოცა უტუ.

— მერე რა? განა რუსი არ სჯობიან დედოფალს?!

— სჯობიან, სჯობიან; მეტი რა გვეთქმის!.. ჯობნით ის სჯობდა, რომ ბარემ მთლად გამართლებულიყო ჩემი აზრი... მაგრამ გავდგით ნაბიჯი და დავმარცხდით მეორეზედვე.

— სხვას რას ფიქრობდი დავითი?! დედოფლის დამარცხებას ფიქრობდა ოდიშის მაღალი წოდება; ამასვე ვფიქრობდით ჩვენც და რასაც ვფიქრობდით ის მოხდა: ასეა თუ ისე დედოფალი დამარცხებულია.

— და მასთან ერთად დავმარცხდით ჩვენც... მართალია, დედოფალი გადავაგდეთ ხრამში, მაგრამ ჩვენც თან გადავყევით.

— ამით რას ამბობ დავითი? მითხარი, გამაგებინე რას ფიქრობ?!

— რა გამოვა მერე!.. მაგრამ ჰო, იცოდე მაინც,—უთხრა დავითმა და დაწვრილებით გააგებინა მეთაურს თავისი აზრი, რამაც ჩააფიქრა უტუც და შავი ღრუბელი მიაფარა მის სახეს.

(შემდეგი იქნება).

კირილე წუთისოფლელი.

ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ

(ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲞᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ)

ტფილისი, მეხრანის ქუჩა, სტამბა „ᲨᲠᲝᲛᲐ“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲔ.